

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბრძანება №

უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 12 თებერვლის №7 ბრძანებაში“ დებულებების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2019 წლის 16 დეკემბრის №203 ბრძანების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 12 თებერვლის №7 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების დანართი №3 („სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველოს დებულება“) ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმის შესაბამისად.“
2. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

ბოდბელი მთავარეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი)

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველო

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველოს (შემდგომში - სამმართველო) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სამმართველო წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა დოკუმენტებით.

3. სამმართველო ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე. ასრულებს რექტორის მითითებებს.

4. სამმართველოს მიზანია შექმნას პლატფორმა, რომელიც ერთის მხრივ ხელს შეუწყობს სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს დასაქმდნენ მათი პროფესიის შესაბამისად, ხოლო მეორეს მხრივ დამსაქმებლებს დაეხმარება მათი მოთხოვნების შესაბამისი კადრების მოძიებაში.

მუხლი 2. სამმართველოს ფუნქციები

1. უნივერსიტეტის დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტუდენტებს დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარების განვითარებაში და აღნიშნული მიმართულებით გეგმავს შესაბამის ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს, როგორც საკუთარი რესურსით, ასევე მოწვეული სპეციალისტების დახმარებით;

ბ) თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და ორგანიზებას უწევს დამსაქმებელთა მოწვევას; გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს და შეხვედრებს;

გ) თანამშრომლობს დამსაქმებელთა გაერთიანებასთან, სახელმწიფო ორგანოებთან, იურიდიულ პირებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

დ) უზრუნველყოფს დასაქმების ინტერნეტ საიტებზე და დამსაქმებლების მიერ მოწოდებული ვაკანსიების ანალიზს, ქმნის შესაბამის ბაზებს და ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს;

ე) ატარებს კვლევებს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესახებ, ატარებს დამსაქმებელთა გამოკითხვას, ამზადებს ანგარიშს და აწვდის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს;

ვ) ატარებს დასაქმების ფორუმს;

ზ) ადგენს სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს დაკისრებული ფუნქციების განხორციელებას;

თ) სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს უწევს კონსულტაციას სააპლიკაციო დოკუმენტებთან დაკავშირებით (CV, სამოტივაციო წერილი და სხვა);

ი) აგროვებს ინფორმაციას სხვადასხვა სახელმწიფო/არასახელმწიფო ორგანოებში სტაჟირების შესახებ და აწვდის სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს;

კ) ატარებს სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა გამოკითხვას მათი დასაქმების სფეროების განსაზღვრის მიზნით;

ლ) უზრუნველყოფს პროფესიული ორიენტაციისა და სხვა საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელებას დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით;

მ) ხელს უწყობს დამსაქმებელთა ჩართვას საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სტაჟირებისა და პრაქტიკის განხორციელებას.

მუხლი 3. სამმართველოს ხელმძღვანელობა

სამმართველოს ხელმძღვანელობს უფროსი. სამმართველოს თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად, ხოლო თანამშრომელთა უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ამ დებულებით სამმართველოსთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულება დგინდება დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სამუშაოს აღწერილობებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სამმართველოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით.